

ი გ ნ ი ს ი

1934 წ.

N<sup>o</sup> 102

# მარტინ გადაბეჭდი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ღ ს პ ი ლ ი ტ ი პ შ რ ტ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ღ რ გ ა ნ ღ ს.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მეთაური—მათი «სამშობლო».

საქართველოს საკითხი.

დარბაისებლი—დემოკრატია თუ დიქტატურა?

ს. ღ.—კულტურულ საქმიანობისთვის.

კირილუ გავაძაძე—კომუნისტები საქართველოში ნაური—წერილი ამერიკიდან.

სომხეთის დამოუკიდებლობის დღე.

26 მაისის დღესასწაული პარიზში და პრაღაში.

პოლონეთის ქართველთა ცხოვრებიდან.

თურქეთის ცხოვრება.

ერთა ლიგის დამხმარე საზოგადოება.

გრიგოლაშვილი—ვასიკ კაკაბაძე.

## მ ა თ ი «ს ა მ შ რ ბ ლ ი»

ცნობილია, კრემლის მედროვენი თავის იმპერიალისტურ პოლიტიკის ქვაკუთხედად კომუნისტურ მარიტონების დებულებას აღიარებდენ, რომ პოლონეტარიატს სამშობლო არა აქვსო. ვინაიდან ხმელეთის მექენიზაციის შეიცავს მრავალ ერებს და ეს კი მოასწავებს, რომ თვითეულს თავისი სამშობლო აქვს, აშკარაა თუ რატომ იყენებდა მოსკოვი მანიფესტის ამ დებულებას, თუ რატომ აყალბებდა, ამასინჯებდა მას. არარც ეროვნების მშრომელ მასებს რომი უნდა გამოეცხადებინათ სამშობლოსთვის, ისე როგორც ღმერთისთვის, და ელოცანათ ლენინის ენაზე. მიზანი ნათელია: წითელი მგლის ცხვრის ტყავში გახვევა, რუსული იმპერიალიზმის განმტკიცება.

გენერალურ ხახის ხანაში, როცა სოციალიზმი, ასე ვსთვათ, წეს რიგში იდგა, სტალინმა დააკანონა «სოციალისტური საკუთრება», რომლის ძალით მრავალი ხალხი გამოასალმეს წუთისოფელს ერთი მუქა საკუთარ ხორბლის «მოპარვისთვის». სწორეთ იმ დროს არა ერთხელ გაიგონებდით მოსკოვიტებისა-გან, რომ ასესტობს აგრეთვე «სოციალისტური სამშობლო», რომლის ქურუმად თავის თავს აცხადებდენ. მაგრამ ეს არ იყო კიდევ კანონი, საყოველოათ აღიარებული, და არავინ უწევდა მაინც და მაინც ანგარიშს.

ეხლა ეს დროც დამდგარა და ამ თვის დასაწყის სტალინმა განსაკუთრებული დეკრეტი გამოსცა «საბჭოთა სამშობლოს» დასაცავათ. როგორც სჩვევია,

სტალინი არ იშურებს ზომებს, სასტიკ სასჯელს იმათვის, ვინც გაბედავს ამ ახალი კერძის შეურაცხყოფას. ლალატისთვის, ჯაშუშობისთვის სიკვდილით დასჯა, აგრეთვე აეროპლანით გაქცევისთვის, ისჯებიან დაპატიმრება-გადასახლებით ნათესავებიც, ამიერიდან მძევლებად გამოცხადებულნი...

საბჭოთა პრესა, რადეკი და მისი მზგავსნი შეუდგენ «გენიალურ ბელადის» დეკრეტის გადაღეჭვას მდაბიო ხალხის შესაგრძებლათ, სახავენ «საბჭოთა სამშობლოს» იმ წმინდათა წმინდად, რომლის წინაშე მუხლი უნდა მოიღორიკონ, ზეგარეცად დაედონ ყველამ და თვითეულმა. როცა კითხულობთ, გეგონებათ ალგზნებულ პატრიოტებთან გაქვთ საქმე, იგივე ფერად ფერადი სიტყვები, იგივე ალტყინება, ასე რომ ყველა ქვეყნის და დროის ნამდვილმა პატრიოტებმა შერცხვენილად უნდა იგრძნონ თავი!

მაგრამ ყველაზე საინტერესო, სასაცილოც თუ გნებავთ, აქ ის არის, რომ დეკრეტის ავტორი სტალინია, ის სტალინი, რომელმაც გასცა თავისი სამშობლო, ლეჩაქი ახალა თავის დედას და განაგრძობს «განურებული შენთით» მის წამებას! სიკვდილი და მძევლობა, რომელიც მან დააკანონა, მართლაც ზედგამოქმილია პირადათ მისთვის, უმაგალითო მოღალატისთვის, იუდასთვის, და ეს მას არ აცდება, იცის თვითონ, დასაცევი არა აქვს და სწორეთ ამიტომ ცდილობს ნამდვილ პატრიოტებს მიუზღოს ის, რაც თვითონ მას ეკუთვნის.

დეკრეტი რომ დიდ სამსახურს გაუწევს არარუს მებრძოლ ერებს, ეს თავისითავათ ცხადია. გახსოვთ საკაფშირო კონსტიტუცია, ცალკე რესპუბლიკები, მთავრობები, კაგშირიდან გასვლის უფლება... ყველა ეს ხომ ყინულზე დაწერილი უფლებანია, ფაქტიურათ ყველა ღირსება ახდილია, მოსკოვი მაჯლაჯუნად აწევს თვითეულ ერს, მოქალაქეს, სჯიჯგნის, ასახიჩრებს მათ... მაგრამ ერთი მაინც უნდა ითქვას: ყველა ამ ატრიბუტებს (რესპუბლიკა, უწენავსობა, უფლება) პატარა სამსახური არ გაუწევია ერთა განმათავისუფლებელ ბრძოლისათვის. კაფშირში არიან უისტორიო ერებიც, თვით ისტორიულ ერებშიც შეხვდებით ისეთებს, რომელთაც დროთა ბრუნვაში დავიწყნიათ კიდევ თავისი ისტორია. აი, ამ ერებისთვის დიდი პროგრესი იყო ისიც, რომ თუ გინდ თეორიულათ მათ აკუთხნებდნენ სახელმწიფოებრივ არსებობის უფლებას, და რაც უფრო დაშორებული იყო პრაქტიკა თეორიისაგან, საქმე სიტყვისაგან, მით უფრო ცხველათ, მწვავეთ გრძნობდნენ და თავდავიწყებით იბრძოდენ ისინი ეროვნულ დამოუკიდებლობისათვის. სიტყვა სამშობლო, მისთვის თავის განწირვა, რომელიც სავალდებულოთ არის აღიარებული, რასაკვირველია, კანონია პატრიოტისთვის, მაგრამ თუ სტალინი ფიქრობს, რომ ქართველი, მთიელი ან რომელიმე სხვა არარუსი ერი ასეთ სამშობლოდ საბჭოთა კავშირს სახავს ან ასახავს ოდესმე, ეს ისეთი სირეგვენა, რომლის მზგავს ისტორიაში ვერ იპოვით. არარუსი იმაშიც მზათ არიან შესძახო ჰყა მოლალატე! მაგრამ, ცხადია, ამ შეძახილში ისინი იგულისხმებენ თვითონ სტალინს და მის მზგავს მოღალატე, თვითეულ ერის არამზადებს, მოსკოვის ყმებს, განწირულთ, განჩინება გამოტანილთ.

არის მეორე მხარე კითხვისა, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი, აქტუალური. რატომ გამოიცა დეკრეტი, რამ აიძულა სტალინი! ომის შიშმა, შეიძლება მისმა მოახლოებამ. შორეულ აღმოსავლეთიდან საბედისწერო ხმები მოისმის და აქცი საგულისხმიერია ერთი რამ. მოსკოვმა დიდი ძალი ჯარი და იარაღი დააგროვა მანჯურიის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით, გაფაციცებით ამაგრებენ საზღვრებს, თხრიან სანგრებს, და, სხ. ხოლო იაპონია თითქო ჯერ-ჯერობით მანჯურიის დასავლეთ მხარეებს, შიდა და გარეთ მონალიის. იღებს მიზანში, რას ნიშავს ეს? იმას, რომ მოსკოვი აქ მოუმზადებელია, ვინც რუქის ამოკითხვა იცის, მისთვის ცხადია, რომ მოსკოვისათვის ჯარის ამ სიშორებე გადაჯგუფება ფიზიკურათ შეუძლებელია. ეს დივერსია აღწევს ორ

მიზანს: მონლოლია ნაკლებ ან სულ არ აინტერესებს იაპონიის მთავარ მოქიშპე ამერიკას, მან მანჯურიისათვისაც კი არ იშიშვლა ხმალი, მაშასაღამე, საპხედრო მოქმედება აქ იაპონიას არავითარ სიურპრიზის არ უმზადებს; სანამ ვლადიგოვასტოკს და ზღვის მხარეს დამუქერებოდეს, იაპონიას სურს გზა გადაუკრას მოსკოვს ჩინეთისკენ და ყოველგვარი შეთანხმებული მოქმედება მასთან წინდაწინვე შეუძლებელი გახადოს მისთვის.

ეს მხლოდ სამხედრო ერთი შესაძლებლობაა, ვერავინ ჩასწვდება მთავარ შტაბების განზრახვებს და გეგმებს, თავი და თავი ისაა, რომ მოსკოვი თითქო ვერ აცდება ომს და ამიტომ მთელი მისი ყურადღება აქეთკენაა მიმართული. მას ეშინია აგრეთვე დასავლეთის: გერმანია ხმალს ლესაგს, პოლონეთი, მიუხედავათ პაქტისა მოსკოვთან, ბერლინს უახლოედება... მთელი ამდენი ჭაპან-წუკეტა თითქო ამაოთ ჩაუარა ლიტვინოვს, ის უენევიდანაც ხელცარიელი დაბრუნდა, მცირე ანტანტის ცნობა კიდევ არ ნიშნავს აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპის პაქტიზით დაზღვევას. მოსკოვს ხელიდან გაუვარდა ეს კოზირიც.

მაშასადამე, ახლოვდება ყამი განსაცდელისა და ევროპაში ამ ეამად ბევრს ლაპარაკობენ და სწორენ ფინალზე, ე. ი. ვინ გაიმარჯვებსა. ყველაზე მარჯვე აღგილი ლონდონია, მხოლოდ იქიდან შეიძლება ეხლა საერთაშორისო დიდ მოვლენათა განწვერეტა, დაფასება. რუსებს 200 ათასი ჯარისკაცი უდგას მანჯურიის დასავლეთით და ჩრდილოეთით—გაიგონებთ იქ—, აქვს უკანასკნელი მოდელის იარაღი, განსაკუთრებით აეროპლანები, შეუძლია მოლაპა და ანგრიის ტოკიო და სხვა ცენტრებით. მაგრამ განაეს საკამარისია? მანქანა უძბარი სამუშალებაა, მაგრამ მას ხომ მოხმარა სცირია, შესძლებს თუ არა ამას რუსის ჯარი? როგორია მისი მორალი?

ჯარის მორალი ურთნტექდ დამოკიდებულია ხალხის მორალზე ზურგში, ეს საანბანოა. როცა მავნებლის ცოლს ჩერნაგინას პკითხეს მოსხენებაზე რამდენათ ძლიერია პატრიოტიზმი ხალხში, მან უპასუხა: მე არ შემიმჩნევია პატრიოტული გრძნობა რუსებში, არც დიდებში, არც ახალგაზღვობაში. მას შეამჩნევთ მხოლოდ არარუსებში, «სამოსტინიკებში» დაქართველებს ამ მხრივ პირველი ადგილი უჭირავთ. ეს პასუხი დამახაჩიათებელია და აღასტურებს მხოლოდ იმ ცნობებს, რომელსაც რუსის ემიგრანტული პრესა ავრცელებს: რუსის ხალხი მოუთმენლათ ერის მხს. როგორც განმათავისუფლებელ ანგელოზს! რა შედეგი უნდა მოჰყვეს ასეთ სულის-

კვეთებას? რას უქადის სტალინის დიქტატურას მოსისხლე მტრად ქეცულ გლეხობის მობილიზაცია? რადა გავაგრძელოთ, დღევანდელი რუსეთის მორალი გაცილებით უფრო ნაკლებ ხელსაყრელია? რმის-თვის, ვინე ცარისმის დროის და რა მოხდა მაშინ? რომ ვიცით რა მა წამოსკუპა ლენინი ტატჩე? დამრბილებამ, «ბრატანიემ», ე. ი. ფრონტის დატოვებამ, ღალატმა, სილაჩრემ... ლონდონში იმასაც ვაიგონებთ, რომ სტალინი უომრათ დასთმობს ტერიტორიას შორეულ აღმოსავლეთში, და ეს კი, უნდა ითქვას, ძალიან მოსწრებული დახასიათება «გენიალური ბელადის». მაგრამ მის გენიოსობასაც საზღვარი აქვს: ის დღეს ქართველი მოლალატეა დაწვალ შეიძლება საბჭოთა კავშირის მოლალატე გახდეს!

აგ. რა პირობებში, რა სახითათო პერსპექტივებში ვამოიწვია სტალინის დეკრეტი «საბჭოთა სამშობლოს სიყვარულზე»! თუ სტალინი აქმდისინ «სოციალიზმით» ულაყავდა ხალხს თავს, ეხლა ის აფრიკალებს «პატრიოტიზმის» დროში, და, რა-საკირველია, იმავე შედეგს მიიღებს მეორე შემთხვევაში, რაც პირველში მიიღო. არა, გაცილებით უარეს, რადგან ჯერ არავის გაუგონია, რომ ჩაგრულმა ერთმა თავისი სამშობლო შეიძულოს და მხაგრელ ერის სამშობლო შეიყვაროს; ზევით ისიცა ვსთვევთ, რომ რუსის ერთი გარედან ელის ხსნას შინაურ მტრატვალთაგან. აი, მათი «სამშობლო», აი რის დასაცავთ სცემს სტალინი დეკრეტს და აღწევს დიამეტრალურათ წინააღმდეგ შედეგს.

### ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ქ ი თ ხ ი

ერთა ლიგის დამსმარე საქართველოებათა საერთაშორისო კონფერენცია.

ეს კონგრესი მოხდა ეხლა, 18-24 მაისს, ფოლკესტონში (ინგლისი). დაესწრენ ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოების დელეგატები, აგრეთვე იავონის და ჩროილო ამერიკისა.

საქართველოს დელეგატებად იყვნენ: ევგენი გეგეშვილი, გიორგი გვაჩავა და ანდრო გუგუშვილი.

22 მაისის კრებაზე თავმჯდომარეობდა პოლან-დიის ყოფილი მინისტრი ბ ნ ლიმბურგი.

თავმჯდომარე, გადავდიგართ საქართველოს საკითხე, ეს უნდა სიტყვა?

ქ-ნი ბულლარდი (მერიკა), საყითხი მე მიმართია არა-დროულად. უნდა მოიხსნას.

გიორგი გვაჩავა. შეიძლება გავიგოთ, რა მოსაზრების ძალით?

ქ ნი ბულლარდი ბასუხს არ იძლევა.

თავმჯდომარე, ეს უნდა კიდევ სიტყვა?

გიორგი გვაჩავა. მიბოძეთ მე.

ბატონებო! საქართველოს საკითხი თქვენთვის ახალი არ არის. ჯერ კიდევ თქვენია ყრილობამ უენევაში, 1921 წელს, მიიღო ერთხმად რეზოლუცია, რომლითაც მან დასღო თავისი მეცაცრი, მაგრამ სამართლიანი მსჯავრი რუსეთის თავდასხმას საქართველოზე, აღიარა იგი ბარბაროსულ აქტად და მოითხოვა, რომ ერთა ლიგა ჩარეცხოვთ ამ საქმეში და ადედგინა საქართველოს შელახულ უფლებანი. თქვენ იცით აგრეთვე, რომ ერთა ლიგა მართლა ჩაერია ამ საქმეში და 1922 და 1924 წელს ერთხმად მიიღო ერთი და იგივე რეზოლუცია, რომლითაც მან დაავავათ თავის საბჭოს ფინიშლად თვალ-ყური ადევნოს საქართველოში მოხდარ ამბებს და არ გამოუშვას ხელსაყრელი მომენტი. რათა ეს ქვეყანა კელავ დაუბრუნდეს ნორმალურ მდგომარეობას. აქედან ცხადია არი დასკვნა:

1) არ შეიძლება მსოფლიო სინიდისმა დაავანონს, რუსეთის მიერ ჩადენილი დანაშაული, და

2) არ შეიძლება საქართველოს საკითხი მოხსნილ იქმნას საერთაშორისო ნიადაგიდან.

სულ ეს დევლი ამბავია. ახალი გახლავთ რუსეთის სურვილი შევიდეს ერთა ლიგაში. სწორედ ამ გარემოებამ ვამოიწვია ხელახლად დასმა საქართველოს საკითხისა თქვენს წინაშე. პატრიციუმული დელეგატი ამერიკისა კი ბრძანებს, ეს საყითხი არა-დროულია. პირიქით, ის არამც თუ დროულია, ის აუცილებელია, ვინაიდან საქართველოს ტერიტორია დელესაც უჭირავს რუსეთს და სულაც არ ფიქრობს ვაიყვანოს იქიდან თავისი ჯარი. რუსეთის შესვლა ერთა ლიგაში, თუ საქართველო ექლავე გამოყოფილი არ იქნება საბჭოთა კავშირიდან, ნიშნავს რუსეთის თავდასხმის დაკანონებას და ერთი თავისუფალი ერის დასაფლავებას რუსეთის იმპერიალიზმის სამარეში. მისაღებია ეს თქვენთვის? მისაღებია ეს ერთა ლიგისათვის?

ბატონებო! საქართველოს უფლება ყოველ ეჭვს გარეშე. ეს თეხისები ჩამოთვლილია შემოტანილ რეზოლუციის პირველ ხუთ მუხლში. მე იმათხე არ შეეხერდები. მივაქცევ მხოლოდ თქვენს ყურადებას საქართველოს ცნობის ერთს ფორმალურ მხარეს, რომელსაც აქვს განსაკუთრებული იურიდული მნიშვნელობა. საქართველოს ცნობა და იურედ მოხდა არა მარტო ინდივიდუალურად, არამედ კოლექტივ ურადაც. 27 იანვარს 1921 წ. საქართველო იცნო და იურედ უმაღლესმა საბჭო, სადაც შედიოდები ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, იაპონია და ბელგია. ეს ნიშნავს, რომ იყო კრება, საერთო მსჯელობა და საერთოო, კოლექტივურად, მიოდება შეთანხმებისა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო გამოცხადებისათვის. ამ ნაირად შეიქმნა საერთაშორისო ვალდებულება არა მარტო ქართველი ერის წინაშე, არამედ ყველა ამ სახელმწიფოთა ერთი-მეორის წინაშე. ამას კარგად ჰგრძნობს ყველა

განათლებული სახელმწიფო, სწორედ ამიტომ ინგლისის მთავრობამ რეზერვი გააკეთა საქართველოს შესახებ, როგა მან იცნო საბჭოთა კავშირი. სწორედ აგრევე მოიქცა საფრანგეთის მთავრობაც. სწორედ ასეთი განმარტება მისცა ამ რეზერვს, უენევაში, პატიკეცემულმა ინგლისის დელეგატმა გილბერტ მურემ, რომლის ავტორიტეტს მე თვითმად შემძლია ამოვეფარო. დაუმატეთ ამას რუსეთთან დადებული ხელშეკრულება, სადაც რუსეთი ალიარებს საქართველოს სუვერენობას ყოველი თავის გარეშე და სრული თავის ნებით ხელს იღებს ყოველ პრეტენზიაზე ქართველი ერის თუ ტერიტორიის მიმართ; დაუმატეთ ცნობაც გრძელი მინინის, პოლონეთის, რუმინისა და ბევრი სხვა ქვეყნებისა, და თქვენთვის აშკარა იქნება, რომ საქართველო ემყარება არა მარტო თავის ოცი საუკუნის ისტორიას, არამედ თვით იმ ძირითად პრინციპებს, რომელზედაც აგებულია თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრება.

ბატონებო! ორი წუთიც არ არის, რაც თქვენ ერთხმად მიიღეთ რეზოლუცია მანჯურიის შესახებ. უკაცრავად, მაგრამ ნება მომეკით წაგირითხოთ: აი რას ალიარებთ თქვენ: «ეგინაიდნ გაგრძელება ეხლანდელი მდგომარეობისა მანჯურიაში, მდგომარეობის დამყარებულის ძალმომრეობაზე», რაც ერთა ლიგას მიაჩნია შეუწინარებლად, ძირს უთხრის კოლექტივურ მოქმედების სისტემას, რომელსაც ემყარება მსოფლიო მშეიღობიანობა...» და სხვა. ბატონებო! ჩასვით ამ რეზოლუციაში მანჯურიის მაგიერ საქართველო და თქვენ ერთი სიტყვაც არ გექნებათ იქ გამოსაცვლელი. თუ თქვენ ერთხულოვნათ გმობთ ძალმომრეობას მანჯურიაში, როგორ გინდათ დაკანონოთ ეს ძალმომრეობა საქართველოში!

ძალმომრეობა კი მოხდა საშინელი, რუსეთი მოულოდნელად თავს დაესხა საქართველოს თავისუფალ სახელმწიფოს და მიუხედავად ბრძოლის და განუწყვეტელი აჯანყებებისა განაგრძობს დღემდე საქართველოზე ბატონობას. ეს არის უდავო თავდასხმა, აშკარა აგრესიული აქტი, რომლის მსხვერპლი გახდა საქართველო. მოგეხსენებათ, თვითონ რუსეთში განაცხადა განიარაღების კომისიაში, რომ ყოველ ერს აქვს თანამწორი უფლება დამოუკიდებლობის და თავდაცვისა, და ყოველი სახელმწიფო, რომელიც თავს დაესხმება მეორე სახელმწიფოს და დაიჭრს მის ტერიტორიას, გამოცხადებული უნდა იქნას ჩხების ამტეხად და დამაზადვედ. რუსეთი იძლევა ამ განმარტებას, როგორც დირქეტივას ყველა სახელმწიფოსათვის. მეტა გთხოვთ იხელმძღვანელოთ ამ დირქეტივით.

ამ ნაირად, საქართველოს დამოუკიდებლობა ცნობილია რუსეთის მიერ, მისი საზღვრები გაყვანილია რუსეთის მიერ, და მისი ტერიტორია კი უჭირავს რუსეთს. როგორც ხედავთ, სადაც არაფერია რუსეთმა უნდა გაიყვანოს თავის ჯარი საქართველოს ტერიტორიიდან, ანაზღაუროს ყოველი ზარალი და აღადგინოს საქართველოს სუვერენობა. თუ რუსეთი შედის ერთა ლიგაში, მან უნდა აღასრულოს პირველად ეს მოვალეობა, თანახმად პაქტის პირველი მუხლისა. წარმოუდგენლია პროცედურა უფრო

«მშვიდობიანი და უფრო შეთანხმებული საერთაშორისო უფლებას». თუ ოდესებ უხეშმა ძალმომრეობამ უნდა დაუთმოს ადგილი უფლების იღებას მშვიდობისა დამყარებაში, საქართველო პირველი ქვეყანაა, სადაც ეს უნდა მოხდეს. ერთა ლიგას არ შეუძლია გვერდი აუზვიოს საქართველოს მოთხოვნილებას, თუ ამ უნდა საჯაროდ ხელი აიღოს იმ პრინციპებზე, რომელზედაც თვითონ არის დამყარებული. მე გთხოვთ ერთხმად მიიღოთ ჩემი წინადაცება.

ბ-ინ გვაზავას სიტყვა მოსმენილი იყო დიდის ყურადღებით მოელი ყრილობის მიერ; ტაშიც კი დაუკარეს...

პროფ. გეორგი ბერებული (საფრანგეთი). საფრანგეთის თანაგრძნობა ქართველი ერისადმი ეჭვს გარეზეა, მაგრამ ჩევნ ამ უნდა დაგვავიწყდეს უფრო მაღალი ინტერესის მთელი კაცობრიობისა. ამ უმაღლეს ინტერესს წარმოადგენს უნივერსალობა ერთა ლიგისა. ყოველ სახელმწიფოს შესვლა ერთა ლიგაში აფართოებს მის მოქმედების ასპარეზს; მით უფრო ლიგაში შესვლა ისეთი დიდი იმპერიისა, როგორიც არის რუსეთი, შესძენს ერთა ლიგას ისეთ პრესტიუს და ისეთ ძლიერებას, რომ მაშინ უფრო ადგილი იქნება ბევრი საჭირობორიც საკითხის უნდა გადაიდოს, რომ ამით ამ შეფერხდეს რუსეთის შესვლა ერთა ლიგაში და ამ შექმედებს იმ უნივერსალური ხსიათის მიცემა ერთა ლიგისათვის. რომელიც აგრე საჭიროა მსოფლიო მშეიღობიანობის დასამყარებლად.

პროფ. გილბერტ შურები (ინგლისი). მე დიდი სიმპატია მაქეს ქართველი ერისას. მე თვითონ ვიცავდი მის ინტერესებს 1924 წელს უენევაში ერთა ლიგის ყრილობაზე. ჩემი სიმპატია დღესაც არ გამოცვლილა, მაგრამ მე მეშინა, ჩევნმა სიმპატიამ მეტი ზარი არ მოუტანს ქართველ ერს, ვიდრე სარგებლობა. ჩევნ არა გვაძეს ძალა მას დაეგებაროთ; სიტყვიერი დახმარება კი სახითათოა. ეს გამოიწვევს მხოლოდ ახალ სისხლის ლერას საქართველოში. უკათესია ჯერჯერობით მანცც არ შევეხოთ ამ მტკინეულ საკითხს.—მანჯურიის შესახებ მიღებული რეზოლუცია აქ მოსატანი არ არის. მანჯურიის ძალმომრეობა, მისი საერთაშორისო სტატუსი, გამორკვეულია და დამყარებული საერთაშორისოდ დადებულ ხელშეკრულებებზე. გარდა ამისა, იაპონია და ჩინეთი, თერთავ წევრნი არინ ერთა ლიგისა. მაშინ, როდესაც არც რუსეთი და არც საქართველო ერთა ლიგაში არ შედიან. ჩემი აზრით, უკაცესი იქნება საქართველოს საკითხი მოიხსნას. როგა რუსეთი შევა ერთა ლიგაში, მაშინ შეიქნება სხვა ატმოსფერა, ეგრძელის საზოგადოებრივ აზრს ექნება მეტი გაცლენა თვით რუსეთზე და, ამ გაცლენით საქართველოს ბედიც გამოსწორდება. სხვა გზას მოქმედებისას მე ვერა ვხედავ.

ბ. ც. დ. დუმბა, ყოფილი ავსტრო-უნგრეთის ელჩი ამერიკაში (ავსტრია). მე ამ შემიძლია გავიზიარო პატივცემულ ორატორის აზრი. საქართველოს აქვს დიდი და მდიდარი ისტორია, ის გმირულად იძრდო-

და თავის დამოუკიდებლობის აღსაღენად, მან და-ამტკიცა თავის პოლიტიკური სიმწრფე. მას თავს დაესხა რუსეთის ლაშქარი, დაიპყრო და გააუქმა თა-ვისუფალი სახელმწიფო. მაშინის მანისი ვართ ჩვენ, თუ ხმასაც არ ამოვილებთ ამ დანაშაულის წინაშე? აქ სიჩუმე არ შეიძლება. საკითხის გადადება იქნება არა-კეთილშობილური აქტი. მე გთხოვთ მიიღოთ შემოტანილი წინადადება.

ალ. შელეგინი (უკრაინა). ბატონებო! საქართვე-ლოს საკითხი სრულებით ნათელია და უდავო. მე მინდა მხოლოდ დაუმატო, რომ სწორედ იმავე მდგომარეობაშია უკრაინა, აზერბეიჯანი, ჩრდილო-კავკასია და ტურქეთსაცანი. ყველა ეს ქვეყნები იტან-ჯებიან უცხო ქვეყნის ბატონობის ქვეშ. საბჭოთა რუსეთმა დაანგრიო ყველა ეს თავისუფალი სახელ-მწიფონი. შემოიტანა ყველგან ბატონებობა და გაა-ნადგურა ყველგან კონტაქტი ცხოვრება. რუსეთი ველური ქვეყნაა, მისი შემოყვანა ერთა ლიგაში მი-უდებელია. მას ადგილი არა აქვს და არ უნდა ჰქონ-დეს განათლებულ ქვეყნებს შორის.

გიორგი გვაჩავა. ბატონებო! მე ყურადღებით მოვისმინე პატივცემული ბორელის სიტყვა. მაგრამ არა მგონია, რომ ის საკარისისად დასაბუთებული იყოს. უნივერსალობა ერთა ლიგისა მეტად სასურ-ველია, მაგრამ ერთი აუცილებელი პირობით: უნი-ვერსალობა უნდა იყოს ერთა ლიგისა, მისი პრინცი-პების, მისი იდეალის. თუ ერთა ლიგა თვითონ დაყ-რის იარაღს, თვითონ უარყოფს თავის პრინციპებს და თავის იდეალს, ეს იქნება არა მისი პრესტიუს აწევა და გამაგრება, არამედ მისი დამზობა და გაკო-ტრება. საქართველოს საკითხი არის საკითხი საერ-თაშორისისა მათი უარისყოფა იქნება მოწონება და გამართლება საერთაშორისო თავდას-ხმის და ძალადობისა. არა მგონია, რომ ასეთ საქცი-ელმა აამაღლოს ან გამაგროს ერთა ლიგის პრეს-ტიუ.

მე მაღლობას უზღდვინ პატივცემულ პროფესორ გილბერტ მურეის მისი სიმპატიისთვის. თქვენი სი-მარტია. ბატონებო, მეტად ძვირავისა და მე ვერ გპოვულობ სიტყვას, რომ მაღლობა გამოვიცხადოთ ქართველი ერის სახელით. მაგრამ დამეთანხმებით, სიმპატია ერთია, სამართლა კიდევ სხვა რამ. ქართ-ველი ერი ითხოვს თავის შელახულ უფლებათა ალ-ადგენას, ითხოვს, რადგანაც აქვს ეს უფლება. პატივ-ცემულ გილბერტ მურემ ბრძანა, რომ მანჯურიის საერთაშორისო სტატუსი ემყარება საერთაშორისო ხელშეკრულებებს. მე მოხარული ვარ, რომ საკი-თხი მან გადაიტანა იურიდიულ ნიადაგზე. განა სა-ქართველოს არა აქვს ხელშეკრულება რუსეთთან დადებული? რა არის კოლექტიურად მიღებული იურიდიული ცნობა საქართველოსი, თუ არა საერ-თაშორისო შეთანხმება მისი საერთაშორისო სტა-ტუტის შესახებ? თუ საერთაშორისო შეთანხმებას გარდამშვერტი მნიშვნელობა აქვს მანჯურიისთვის, იგივე მნიშვნელობა უნდა ქონდეს მას საქართველო-სთვისაც. მათთაღია საქართველო და რუსეთი არ არიან წევრნი ერთა ლიგისა, მაგრამ ერთა ლიგის პა-ტიუ არის მე-17 მუხლი, რომელიც სრულს უფლე-

ბას აძლევს ერთა ლიგას ჩაერიოს ისეთ კონფლიქტ-ში, როგორიც არის რუსეთის და საქართველოს შო-რის მომენტის განხეთქილება. დაბოლოს, ერთა ლი-გას ხომ მიღებული აქვს საქართველოს საკითხი; 1922 და 1924 წწ. მან მიიღო რეზოლუცია, რომლის ძალით საქართველოს საკითხი დგას მის წესრიგში. ჩვენ ხომ უფლება არა გვაქვს ის იქიდან მოვსნათ? პირიქით, ჩვენი ვალია, მაშინ როდესაც რუსეთი აპირებს ერთა ლიგაში შესვლას, ვთხოვოთ მას გა-დასწყვიტოს ერთხელ და სამუდამოდ საქართველოს საკითხი ისე. როგორც ამას მოიხსენებ საერთაშო-რისო სამართალი.

ბ. პირა პიონი (უნგრეთი). საქართველოს ხაკით-ხი სადაც არ არის. მე დარწმუნებული ვარ, რომ შემოტანილი წინააღმდება მიღებული იქნება ხმათა დიდი უმეტესობით. მაგრამ მე უმეტესობა არ მინდა, მე მინდა, შემოტანილი წინააღმდება მიღებულ იქ-ნას ერთხმად და არა ხმის უმეტესობით. ამიტომ ვთხოვ საქართველოს დელეგაციას მოხსნას თავის წინააღმდებირან უკანასკნელი ფრაზა, რომლის ფორ-მა შეიძლება საწყები იყოს რუსეთისათვის. ამ ფრა-ზაში ნათქვამია: «ალდენილ იქნას საქართველოს სუ-ვერენობა, გაუქმებული რუსეთის თავდასხმითო. ეს არის გამორჩება მთელი წინააღმდების დედა-აზრისა, მისი მოხსნა არაფერს აფუჭებს, ხმა კი შეიძლება შემოიკრიბოს ყველასი; ერთხმად მიღებას აქვს მეტი წონა და მნიშვნელობა, ვიდრე ხმის უმეტესობით გატარებას.

ევგენი გმბეჭდილი. ჩვენც დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ ერთსულობან დადგენილებას. ამიტომ ჩვენ თანხმა ვართ შემოტანილ შესწორებისა—მოიხსნას უკანასკნელი ფრაზა.

თავმჯდომარე. მაშინ შემოტანილი წინააღმდება მიიღებს ასეთ სახეს:

მე-18 ყრილობა ლებულობს რა მხედველობაში, რომ:

1) საქართველო, რომელიც ოცი საუკუნე არსე-ბობდა როგორც დამოუკიდებელი ქვეყნა, გაუქმე-ბულ იქნა, როგორც თავისუფალი სახელმწიფო 1801 წელს, იმპერატორულ რუსეთის თავდასხმით, წინააღმდეგ 1783 წელს დადებული ხელშეკრულე-ბებისა;

2) საქართველომ 26 მაის 1918 წელს გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა და ეს აქტი ერთხმად და-მტკიცებულ იქნა, საყველოთა ხმის მიცემით არ-ჩეულ, დამფუძნებელი კრების მიერ;

3) თანახმად 7 მაისს 1920 წ. დადებული ხელშეკრულებისა, «რუსეთი ცენობს, ყოველი დავის გა-რეშე, საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდე-ბლობას და სუვერენობას და სრულის თავის ნებით ხელს იღებს ყოველ სუვერენულ უფლებაზე, რომე-ლიც კი ეკუთვნოდა რუსეთის ქართველი ერის და ტერიტორიის მიმართ».

4) საქართველოს დამოუკიდებლობა ცნობილია de jure ყველა დიდი სახელმწიფოების მიერ და აგ-რეთვე ბევრი სხვა ქვეყნებისაგანაც;

5) ამის შემდეგ, არ გასულა ერთი წელიც რუსე-თი თავს დაესხა საქართველოს და დაიჭირა მთელი

ტერიტორია, მიუხედავად მის მიერ თავისუფლად მიღებული საერთაშორისო გადაწყვეტილებათა,—

აქცევს ერთა ლიგის ყურადღებას საქართველოს მდგრადარიცხვაზე და იმ რეზოლუციებზე, რომლებიც მიღებული იყო 22 სექტემბერს 1922 წელს და 25 სექტემბერს 1924 წელს და ორმლებითაც იგი მოუწოდება ლიგის საბჭოს, ფინლანდ ედეგნა თვალშური ქვეყნის ერთი ამ ნაწილში მომხდარ ამბებისათვის და ხელიდან არ გაემზადებოდა შემთხვევა, ჩათა დახმარებოდა საქართველოს, მშვიდობიანი სამუალებით და თანხმად საერთაშორისო უფ-

ლების პრინციპებისა ამ ქვეყნაში ნორმალური მდგრადარების აღსადგენად».

ვინ არის წინააღმდეგი ამ რეზოლუციისა? წინააღმდეგი არავინ არის. მიღებულია ერთხმად.

მეორე დღეს, 23 მაისს, მხოდა მთლიანი კორპუს კონგრესისა, მ. ჯანინის თავმჯდომარეობით. აქ დამტკიცებულ იქნა იგივე რეზოლუცია უდავოდ და ერთხმად.

.. პ.

ფოლკესტონი 24 მაისი.

## დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა თ უ რ ა?

(დასახლები)

ფაშიზმის თეორია თუ ახალის ადამიანების შექმნილია და ბოლშევიკებს კიდევ თუ ძალმომრეობის თეორია საფრანგეთის დიდის რევოლუციის ანდრეად მიაჩნიათ,— თუმცა ეს, როგორც ლაბარბა დაგვანახვა, ცილის წამებაა ამ რევოლუციისათვის,—, ჰიტლერიზმის იდეოლოგიას ისევ ისინი ქმნიან. ვინც შარტუანდელ რევოლუციამდე ასწავლიდნენ საკანსტიტუციო სამართლს გერმანულ უნივერსიტეტებში.

ამიტომაც ნაც.-სოციალ. თეორიის დასასაბუთებლად ისინი ხშირად მიმართავენ ძევლ ფორმულებს და თეორიებს, რომელიც თავის დროს შექმნილი იყო ძალმომრეობის გასამართლებლად. მაგალითად, ასებობდა ე.წ. «საჭიროების უფლების» თეორია. ეს თეორია მოგონილი იყო სავანგებოდ პრესიის ან გერმანიის იმპერატორის ამა თუ იმ მოქმედების, უპასუხისმგებლობა ნაბიჯის გასამართლებლად.

«ეროვნულ ცხოვრებაში წესიერების დასაცავად ხელისუფლების რომ მიპაროთ კიდევ საჭიროების უფლებას», ეს არ ნიშავს, რომ მან დარღვია სამართლზე აგებულ სახელმწიფოს წესი, ვინაიდგან ამრიგად ის იტროვებს შესაძლებლობას მომავალში ემსახუროს სამართლის იდეის განხორციელებას», ამბობს ნაც.-სოციალიზმის, ერთ ერთი თეორეტიკოსი (კერლერიტერი) \*).

მეორე ახდილად ალიარებს, რომ ახალი წყობილება აუცილებლად ანტილიბერალი უნდა იყოს. რადგან პიროვნების თავისუფლება მოუთავსებელია სახელმწიფოს ახალ თეორიასთან (იელონები).

ეს უკანასკნელი ასე განმარტავს გერმანიის ახალ სამართლას:

«ეროვნული რევოლუცია სამ რასმე ებრძვის: ინტერნაციონალიზმს, უცხო სამართლას და უცხოელებს, ე. ი. მათ, ვინც ჩვენს რასას არ ეკუთვნის. რომაულ სამართლის, ვითარცა უცხოსი, მდგრადარება ძნელია. უკვე გაცემულია ბძანება, რომ ის აღარ ჩაითვლება იურიდიულ გამოცდის საგნად»...

\* ) ეს და სხვა ქვემოთ მოყვანილი ციტატები ამოღებულია «Revue parlementaire et diplomatique»-ში მოთავსებულ მირკინ-გეცევიჩის წერილიდან «დიქტატურის თეორია».

მესამე უარყოფს აზროვნების თავისუფლების საჭიროებას, თვით ფილოსოფიურისაც.

«... ამ დაწესებულებებში ვერ მოთავსდებიან სამყაროს შესახებ ნაირნაირი წარმოდგენანი და თეორიები. არის მხოლოდ ერთი გაბატონებული იდეა: ეს არის რასისტული თეორია; ერთი მეცნიერული საფუძვლი—ორგანიული; მხოლოდ ერთი პოლიტიკური ნებისყოფა.—ნაც.-სოციალისტური (პაუპტი).

ამ დევლ თეორეტიკოსებს მაინც ვერ აუდით ხელი დემოკრატიულ დებულებებზე და ამიტომ სცდოლობენ წარმოადგინონ ახალი ხელისუფლება, როგორც ხალხზე დამყარებული და დემოკრატიული.

«ხალხის წებისყოფა და გონება იძლევიან თანამედროვე სახელმწიფოს დამახასიათებელ თვისებებს», ამბობს კელტერიტერი, ... ამიტომაც ყოველი ნამდვილი წარმომადგენლობა გულისხმობს სახელმწიფოს ხელისუფლების არსებობას.

ხელისუფლება, რა თქმა უნდა, ერთერთი აუცილებელი ელემენტია სახელმწიფოსი, ოღონდ თუ ის წარმოშობითი არ არის ერთს, ხალხის წებისყოფით, მას დემოკრატიული არ ეთქმის. აქ ხალხი ისევ ის მეტაფიზიკური მცნებაა, რომელზედაც ზემოდ იყო ლაპარაკი.

ჩვენ მოვიყვანეთ სამი დიდი ქვეყნის მაგალითი, ოღონდ დიქტატორული წესები სხვა ქვეყნებშიაც არის გაბატონებული. გაიხსენეთ პრიმა-დი-რივერა, ქემალ ფაშის პერსონალური რეემი. ავსტრიის ახალი კონსტიტუცია, ვოლდემარასი, რუსელი და სხვ.

დემოკრატიზმის უარყოფა და დიქტატურათა გაჩენა დიდის ამბის შედეგია-თქმ, ვსტევით ზემოდ, — ახალის ტიპის დიქტატურები, რასაკვირველია.

ყველაზე უფრო დამარცხებული მატერიალურად და მორალურად გამოდგა ყველაზე დევლ ჩამორჩენილი და დაქვეითებული რუსეთი. ეს უშველებელი ქვეყნა სწორებ ამ ჩამორჩენილობის მიზეზით ჯერ კიდევ ომის წინ სარევოლიუციო პროპაგანდისა და აგიტაციის ასპარეზად იყო გადაქცეული. იყო მუშიდობის მომხრე პარტიებიც, ხოლო როგორც რევოლუციონერები, ისე ამ პარტიათა მოღვაწენიც სინამდვილეს ერთნაირად იყვნენ დაშორებულნი; ორგანიული კვშირი, რმელიც

გულისხმობს ხალხის მიერ ახალ აზრების შეგნებას და ამ აზრების მქადაგებლების მიერ კიდე ხალხის ოქალურ საჭიროებათ, მის გონების ძალთა დონეს და შესაძლებლობათ შეგნებას, ხალხსა და მათ შორის დიდის ხნიდან იყო გაწყვეტილი; ხალხი სადაც ქვეით დარჩა უმცირებასა და სიღარიბეში, პარტიიბი და ინტელიგენცია კი უცხოეთიდგან შემოტანილ, რუსულ ბურუსინ მისტიკიზმით შერეულ პროგრამების და აზრების ღრუბლებში იყო გახვეული.

უბედურ ომს მოჰყავა რევოლიუცია, ან, უფრო სამართლიანი იქნება ითქვას, უდიდესი «ბუნტი», გამარჯვება რევოლიუციონერთა უკიდურესს ფრთას დარჩა, რადვან უვიცმა ერმა ბაჯალო აქროთ მიღო მათი ყოველ გონიერებასა და საფუძველს მოკლებული დაპირებანი. გამეფდა რეუიმი, რომელმაც გაერთიანა ყველანი სიღარიბესა და მონობაში,— ბოლშევიზმი.

მისი განჩრახვა იყო მთელი ქვეყნიერება ჩაეგდო რევოლიუციის აღმი და ყველგან გამეფებულიყო. ამიტომ რუსეთში ფეხმოკიდებულმა მან მალე გაშალა პროპაგანდა აგიტაცია სხვა ქვეყნებში. საპროპაგანდოთ არავითარ სამუშალებას არ ერიდებოდა, ყველა კარგი იყო: აქ ინტერნაციონალიზმი, იქ ნაციონალიზმი; აქ საკუთრების დაცვა, იქ მისი მოსპობა; აქ სააწმუნოების და ეკლესიის გმობა, იქ ფანატიურ გრძნობათა განიანება და აღგნება და სხვა.

იყო ქვეყანა, სადაც, მართალია მოკლე ხნით, მაგრამ გასჭრა ამ პროპაგანდამ და განჩდა საპროპაგანდიმი.— უნგრეთი. დაიწყო არევ-დარევა სხვა ქვეყნებშიაც. იტალიის მრავალ ქალაქებში ქარხნებში გაბატონდნენ ბოლშევიკურად განწყობილი მუშები.

ბურეულაზიული წრები და მთავრობები შეძრწუნდნენ, რაკი განსაცდელი კარს მიადგათ: იტალიაში ბოლშევიზმის საწინააღმდეგო შეიქნა ფაშისტური მოძრაობა, რომელიც რომენ გალაშერებით და ამ მოძრაობის გაბატონებით დასრულდა. ისპანიაში პრიმა-დი-რივერამ დაიჩემა უცასუსისებდლობა ტატონბა, და ამ რიგად, ყველგან, სადაც უკიდურეს მემარცხენე აზრების მქადაგებელნი წრნასწორობას არღვევდნენ და თავიანთ აზრების განხორციელებას იწყებდნენ, ხალხში უკამაყოთილება იჩენდა თავს, მარცხნით გაქანებას აქცა-რეაციის კანონით მარჯვნით გამოიქანება მოკვებოდა, სადიქტატურა ატმოსფერა მზადდებოდა და მალე იძეტატურაც მყარდებოდა.

«რაც არსებობს, ყველა გონივრულია», სთვა ერთმა გერმანელმა ფილოსოფოსმა. გონიერების რა მოგახსენოთ; გონება ყველაფერს, რაც არსებობს, რა თქმა უნდა, ვერ გაამართოებს და თავის თავზე ვერ აიღებს მის პასუხის ვებას. ღოლნით გონებაც მისთვის ქვირა, რომ არსებულის გაჩენის მიზეზები გამოიკვლიოს და განმარტოს. ამ სახით, რაც არსებობს, რა თქმა უნდა, მიზეზობითი კავშირის მიხედვით, კანონიერად (ამ სიტყვის საბუნების მეტყველო გაგებით) უნდა ჩაითვალოს.

ქემი აღნიშნულ საერთო ნიაღავს სხვადასხვა ქვეყნებში თავისი კერძო მიზეზები ერთვოდა სადიქ-

ტატურო განწყობილების შექმნაში. მაგალითად გერმანიაში—ომშე დაყრდნობილ იმედების გაცრება და დიდის ხალხის, დამარცხების გამო გულისწყრობა. ამ გრძნობებისათვის რასიულ პრინციპის იდეოლოგიურ ბაზად გამოყენება ძლიერ მოხერხებული საშუალება გამოდგა.

ნიშავს ევროპის დევინდელი მდგომარეობა დემოკრატიზმის გაყოტრებას, მის გადავგარებას?

დიქტატორულ ცველი იდეოლოგიის ლეიტმორივი დემოკრატიულ თავისუფლებათა ურყოფაა და სახელმწიფოს უზომოდ განდიდება.

ომაელები ამბობდნენ *republicae salus—Suprema lex* (სახელმწიფოს კეთილდღეობა არის უდიდესი კანონი). თუ სახელმწიფო უზრუნველყოფილი არ არის ყოველივე საშიშროებისაგან, ვერც მისი მოქალაქე იქნება, რა თქმა უნდა, უზრუნველყოფილი. ამიტომაც არის, რომ როდესაც ერს განსაცელი უფეხი, ყოველი მოქალაქე ივიწყებს თავის კერძო ინტერესებს და ყველაფერს სწირავს ერის თავისუფლებას, თავის სიცოცხლესაც. ამ სახით გამოთქმული სახელმწიფო მოგონებრივი პრინციპი ჯერ კიდევ არ ეწინააღმდეგება დემოკრატიზმს. პირიქით, რაც უფრო თავისი უფლად გრძნობს პიროვნება სახელმწიფოში თავისი თავს, მიზ უფრო დიდი ინტერესი აქვს მისთვის სახორციელოს შენახვას და დაცვას. ღოლნით როდესაც სახელმწიფოს იდეა იქამდის არის განდიდებული, რომ მასში ინთერება მოქალაქის პიროვნება, მისი თავისუფლება წარხოცილია, როდესაც აგრომატურად უნდა მორჩილებდეს ხელისუფლებას, ყველა თავისი სურვილი, გრძნობა და გუნდება მის ბძანებას უსიტყვოდ დაუმორჩილოს, მაშინ თვით სახელმწიფოს იდეა იცვლება და ირყვნება.

სახელმწიფო, მართალია, უზენახვი, მაგრამ მაინც ერთი ადამიანურ დაწესებულებათაგანია ადამიანთავე საკეთილდღეოთ და არა მათ დასაჩაგრავად გაჩენილი. სახელმწიფო, როგორც ადამიანთა სხვა გაერთიანება, თავის წევრთა ბედნიერებას უნდა პემიდეს, ხოლო ბედნიერებას უბიექტურ გრძნობის შვილია და გარეშე კარნასა და ბრძანებს არ ემორჩილება. ბედნიერება მაშასადამე თავისუფლებაშია.

რასაკვირველია, საზოგადოებაში ცხოვრებასთან და სარგებლობასთან ყველა იმ სიკეთით, რომელსაც საზოგადოებრივი ცხოვრება პემის, მოუთავებელია უსაზღვრო თავისუფლება. ყველასი დაყოველის უსაზღვრო თავისუფლება თავისუფლების უზრუნველყოა, ნება მყოფლობის გამეფება და, მაშასადამე, არეულობა და უწესობა.

საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ, ადამიანის უფლებათა დეკლარაციაში, მოგვცა პიროვნების თავისუფლების ფორმულა:

«თავისუფლება ნიშავს ყველაფერ იმის ქნას, რაც სხვებს არ ვნებს», და მეორე:

«ერთის თავისუფლება თავდება იქ, სადაც იწყება ასეთივე მეორესი».

როდის ხდება ვისიმე თავისუფლება სხვებისთვის მანებელი? სად იწყება მეორეს თავისუფლება?

ამაზე ისინი, ერც სახელმწიფოს ადამიანთათვის არსებულ დაწესებულებებად სთვლიან, უბასუფებენ:



სამწუხაროდ, ქართველები ამ მხრივ უცხოეთში ძალიან დაქვეითებულები გართ. ჩვენი რიცხვი აი თუნდ პარიზში არც მთლად მცირეა, და განა დაასახელებთ ერთსაც არის ცოცხალს კულტურულს ან ეკონომიური დახმარების ორგანიზაციას? თუ არის ორიოდე, ეს უფრო სახელია და რაიმე მოქმედების ნიშანწყალი მთა არ ეტყობათ. აქამდის ერთი ქართული სკოლა ვერ მოვაწყეთ ჩვენი ბავშვებისთვის, რომელიც პირდაპირ იღებებიან. არც ბიბლიოთეკაა, არც ლექციები ქართული ისტორიის, ლიტერატურის, ეკონომიკის. არც თუ ვისმე კერძოთ, ინდივიდუალურად ანტერესებს ეს საგნები. არავინ ცოდნობს თვითონ სახლში ასწავლოს შეიღებს ქართული, სამშობლოს სიყვარული ჩატვრების, ქართველად აღზარდოს. თუ რაიმე პოლიტიკური კრება იმართება, სადაც ცხარი შესლა-შეტაკებაა მოსალოდნელი, ხალხი ბლობად დაესწრება. მაგრამ წიკითხეთ საქართველოს ისტორიიდან, მწერლობიდან, ათიოდე კაცს თუ დაანიჭერესებთ.

ცხადია, როცა ესეთი სულიერი განწყობილებაა, პოლიტიკური მუშაობაც გაძნელებულია. ჩვენ ერთმანეთს ფსიქიურად დაგმორდით, ერთომეორის არა გვესმის რა, ერთად ქართული პოლიტიკის წარმოება გვიმძიმს, ერთი ხაზი ვერ აგვირებევია. მთელი ჩვენი ძალა წვრილმანობას და კამათს უნდება.

გვინდთ არიოდე სიტყვა ვსთქვათ ქართულ გამომცემულობაზე უცხოეთში. რამდენიმე სხვადასხვა პოლიტიკური არგანო გამოისა, რომელიც კულტურულს, ლიტერატურულს სავნებს ნაკლებს ყურადლებას აქცევენ. არც კალკე სამისო ორგანო—ყველასათვის საერთო, შემაკავშირებელი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ «კავკასიონის» რამდენსამე კრებულს. კალკე წიგნებიც არ იძეჭდება, თუ რამ გამოიდან—უმთავრესად პოლიტიკურ პარტიული.

ამ მხრივ სასიამოვნო გამონაკლისს წარმოადგენს დ. ხელაძის მუშაობა, რომელიც დადგა სრულებით პოლიტიკისა და პარტიულობის გარეშე და ხელი მოკიდა ისეთი წიგნების გამოცემას, რომლებიც უნდა აინტერესებდეს ყველა ქართველს, რომლებიც არიან ლიტერატურულ კულტურული შინაარსის. მან დაბეჭდა საუცხოვოდ დედა ენის პირველი ნაწილი, როგორც აუცილებელი სახელმძღვანელო ყოველი ქართველის ოჯახში. შემდეგ გამოსცა კ. კანდელაძის «ეკონომიური კრიზისი», გ. გვაზავას მშვინერად თარგმნილი რასინის ტრაგედია «მითორიატი», ვლ. მგელაძის მოგონებანი ქართულ საზოგადოებრივ-სალიტერატურო ცხოვრებიდან «26 მარსი», ს. ფირცხალავის «ისტორიული ლანდები» (ამბები), და სხ. (მისივე გამოცემა რუსულად გაღმონატის ნათარგმნი «ვეფ-ტუ.», გამოცემა იშვიათის სილამაზისა). დ. ხელაძეს განმარტება აქვს განაგრძოს გამოცემლობა ამ მიმართულებით და უცხოეთში გაღმოხვევილს ქართველობას მიაწოდოს თითო ოროლა საკითხავი მასალა.

მაგრამ ჩვენდა სამარცხინოთ ქართულს წიგნს ქართველი ემიგრანტი გაუტბის. ძალით თუ არ აყიდვინებთ, ისე თვითონ წიგნისკენ ხალისით არ მიწევს. სხვას რომ თავი დავანებოთ, «დედა ენა» ხომ

მაინც ფართოდ უნდა გავრცელებულიყო, უნდა გაეღო ყოველი ქართველის ბინის კარი და გამხდარიყო თვითეულ ქართველი ბავშვის უპირველესი და აუცილებელი წიგნი. ეს «დედა ენა» მთელ უცხოეთში ძლივს გასაღდა ას ცალწე ცოტა მეტი და მათში ბევრის ფასი დღესაც გადაუხდელია...

მივაცევთ ყურადღებას ამ სამწუხარო მოვლენებს და გამოვსთევამ იმედს, რომ ამას ბოლო მოელება, ეს შეიცვლება, მდგომარეობა გაუკეთესდება და ქართულ წიგნს ემიგრაციაში მეტი პატივისცემა და სიყვარული მიენიჭება.

ს. ფ.

## კომუნისტები საქართველოში

(ყოფილი კომუნისტის მოგონება) \*)

I. საქართველოს დაპყრობა \*\*)

1921 წლის დასაწყისში შევებულება ავიდე და საქართველოში ჩამოვედი პეტერბურგიდან. გამოვიარე რუსეთი, უკრაინა, უზბანი და მთა, რომელიც იმდროს გასაბჭოებული იყვნენ, და საქართველოს სამხედრო გზით ჩამოვედი ჩემს სამშობლო ქვეყანაში—დამოუკიდებელ დემოკრატიულ საქართველოს რესაუბლივკაში.

კომუნისტურ პარტიას ვეკუთნიდე რწმენით და სრულიად გულწრფელად ვიყავი დარწმუნებული, რომ კომუნისტური გზით და მეთოდებით შეიძლებოდა მშრომელი ხალხის გაბედნიერება. მე კარგად ვხედავდი გასაბჭოებულ ქვეყნების იმ დროინდელ გაჭივრებას, მაგრამ იგი მიმართდა დროებით მოვლენათ, აუცილებელი მსხვერპლის გაღებათ, რომელსაც მოთხოვდა ქვეყნად კომუნისტურ სამოთხის დამყარება. მიუხედავთ ამისა ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭიდილება მოახდინა გასაბჭოებულ ქვეყნებისა და დემოკრატიულ საქართველოს შორის არსებულმა განსხვავებამ; შედარებით საქართველო განუზომელათ უკეთეს მდგომარეობაში ვნახე, ვინემ იმ დროს ჩემად მიჩნეულ პარტიის მიერ გაბედნიერებული ქვეყნები.

იმ ხანათ ყოფილი რუსეთი კომუნისტური ცეცხლითა და მახვილით იყო გაერთიანებული ფინლიანდიის, ბალტიის მხარის, პოლონეთის და საქართველოს გამოკლებით. კომუნისტური ხელისუფლება, მიუხედავად იმისა, რომ მან თავის დროზე საქვეყნოთ აღიარა ერთა თვითგამორკვევის უფლება სრულ გამოყოფამდე, პირველ მოხერხებულ შემთხვევისთან-

\*) ამ მოგონებების ავტორს—კირ. კაკაბაძეს—მრავალი სხვადასხვა თვალსაჩინო და პასუხსავები ადგილები ეკავა რუსეთში და საქართველოში მისი დაპყრობის შემდეგ; ერთ დროს იგი საქართველოს სახ. კომის. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეც იყო.

რედაქცია.

\*\*) როგორც ამ წერილის, ისე ყველა მისი გაგრძელებათა გადატეჭიდვა ავტორის ნებადაურთველად აკრძალულია.



ტფილისის სახელოსნოებისა და დეპოს მუშების განწყობილება, ჭირთურისა და ტკიბულის, ნავთ-სადგურების მუშების და გლეხების მდგომარეობა, ჯარისა და გვარდიის ურთიერთობა, მათი რიცხვი, სამხერო მომარაგება და სხვა მრავალი წვრილმა-ნები. ოროვესკის მოწმობით ყოვლად შეუძლებე-ლი იყო, რომ ლენინი არ ყოფილიყო ორჯონიქიძის მიერ განჩრააზულ ავანტიურის კურსში.

კველა ამის გარდა კიდევ არის ერთი უფრო სა-გულისხმიერო საბუთი, რომელიც სავსებით აქარ-წყლებს ორჯონიქიძის ზღაპრებს. ლენინმა და მისმა მთავრობამ, მიუხდავათ იმისა, რომ საკვეყნოთ და-გმო საიდუმლო დიპლომატია და საიდუმლო ხელ-შეკრულებათა სისტემა, 1920 წელში საიდუმლო ხე-ლშეკრულება დასრო ინგლისან (ლიოდ ჯორჯ-კრასინის ხელშეკრულება), რომლის ძალით რუსეთი ხელს იდებდა დიდ ბრიტანეთის კოლონიებში კომუ-ნისტურ პრაპაგანდის წარმოებაზე, ხოლო ინგლისი წინააღმდეგობას არ გაუწევდა რუსეთს, თუ იგი ხელ-ახლავ დაიპყრობდა მიერ კავკასიას. აქედან ცხადია, რომ ლენინს უკვე გადაწყვეტილი ქონდა საქართვე-ლოს ბედი.

მართალია მხოლოდ ის, რომ საქართველოს კო-მუნისტურმა პარტიამ, რომელსაც იმ დროს არც რაიმე გავლენა ქონდა საქართველოში და არც რამე ძალა გააჩვა, მართლაც არათერი იცოდა მოსკოვის გადაწყვეტილების, რომ დაუყონებლივ დასხმოდა თავის საქართველოს და დაეცყრო ის, რათაც არ უნდა დაჯდომოდა.

ასეთივე გადაწყვეტილება ქონდა მიღებული მო-სკოვს ფინლიანდის გასაძლოების და ბალტიის სა-ხელმწიფოთა დაყყრობის შესახებაც, მაგრამ ამ უკა-ნასკნელთ ქომაგათ და დამცველათ გამოუჩდენ ევ-რობის სახელმწიფოები, ხოლო პატარა საქართვე-ლო კი, გაცემული ლიოდ ჯორჯის მიერ, მარტოდ-მარტო დარჩა 150 მილიონიან რუსეთის წინააღმდეგ.

ვირილე პაკაბაძე.

## ზერილი ამარის კიდან

როცა მასპინძელს საქართველოს პატიოსნების და მო-ქცევის სტუმარი მოუჲა, ის სახიფათო მდგომარეო-ბაში ვარდება, სტუმართ-მოყვარეობა მოითხოვს. რომ სტუმარი კარგად მიიღოს. მაგრამ ეშინია, ვაი თუ მეზობლებმა რამე დამწამონ, ან ვინმე ჯაჭახის წევრმა გალანძოს, ან ბაგშებმა უძროვო დროს გაი-ცინონ და ან რამე ურიცო თქვან. სწორედ ასეთ მდგომარეობაშია სტუმართ-მოყვარე ამერიკა და მისი პრეს რუსეთის და მისი წარმომადგენელის მიმართ.

არ გამოუდგებით იმის მტკიცებას, რომ შეერ-თებული შტატები ნანობენ საბჭოების ცნობას. ამე-რიკის პრესა და პასუხისმგებელი პირები თითქოს გაუმდინა რუსეთის ხესხებას—სწერენ ნაკლებს, ლა-პარაკობენ მათხე ნაკლებს, თითქოს ეშინიათ, ვაი თუ ვინმე უკანაური რამე სთქვას და ამით პოლ-პრეზიდენტი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდეს.

მაგრამ ეს პრესის სიჩქმე ხშირად თვით რუსე-ბის მიერ ირდევება. აგერ «პოლპრეზიდენტი ტრინიანოვს-კი ჩავიდა ქალაქ ცირკინატში და წამოსამართვა სიტ-ყვა, სარაც მოიხსენია საბჭოების მთავრობა რო-გორც დემოკრატიული: «ჩვენ გვწამს, რომ ჩვენ უკვე გვაქვს ნამდვილი დემოკრატიუმი». ღ... განაცხადა მან სხვათ შორის. აქალა პრესა უხერხულ მდგომარე-ობაში ჩავიყანა: ზოგიერთებმა უნიტაციაც არ გაუკეთეს—ალბარ სტუმართ-მოყვარეობა მოერია. მხრილოდ ნიუოლ-კის ჰერალდ ტრიბუნის» მოხელეში მყრელ კორესპონდენტი რალფი ბარნესა, რომელმაც აქალა გვაქვს უკვე სად იცის, რა დემოკრატიუმია იქ. ფიცხლავ დეპეშა გამოუგზავნა თავისი განექტს, რომ გაკვირე-ბით წავიკითხე ერთი ტრინიანოვსკის სიტყვა, რომ რუსეთში დემოკრატიუმია. ბ. ბარნეს მოყავს ვებ-სტრეილის ლექსიკონიდან: «დემოკრატიუმი არის ისე-თი ფორმა მართველობისა, სადაც უმაღლესი უფ-ლება ეკუთვნის ხალხს და ხმარობს პირობირ, ან არაპირდაპირ—წარმომადგენლების საშვალებით, რომელიც პერიოდულად ახლდება, როგორც ეს არის კონსტიტუციონალურ წარმომადგენელობით მართ-ველობაში ან ჩესპუბლიკიაში. თუმცა საბჭოების კონსტიტუცია, განაგრძნობს ბარნესი, იძლევა თეო-რიულად დემოკრატიულ მართველობას საბჭოე-ბის იერარქიის ფორმით. მაგრამ ნამდვილად კი ეს უმაღლესი უფლება რუსეთის ხალხისა არის საბ მი-ლიონზე ნაკლებ კომუნისტების პარტიის წევრებისა და კანდიდატებისა ხელში, რომელს განაგებს ეგრეა-წოდებული პოლიტიკიურო, ეს უკანასკნელი კი შეფ-გება სტალინისა და ცხრა მისი უახლოესი თანამ-შრომლებისგან. ამაირად ამ მუჭა ხალხის ხელში არის მთელი 160 მილიონ ხალხის ბეჭიო..

რომ რამე უსიამოენება არ მომდერიყო, როცა «პოლპრეზი» ქალაქ ჩიკაგოში ჩავიდა, არაფერი სთქვა. მაგრამ აქაც ამით ხიფათი თავიდან ვერ აიც-დინა: უკრაინელთა ორგანიზაციამ მდღარი დემონ-სტრაიტა გაუქეთა, რაზატორები და პლაკატები აუ-წყებდენ ქვეყანას, რომ რუსეთის საბჭოები შიმში-ლით ხეცვეს ხალხს და მთელი უკრაინის ერს გონე-ბრიგი და ფიზიკური განადგურება მოედისო...»

რასაკვირველობია, ამისთანა მორალურ უსიამოვ-ნებას საბჭოები გადაყაბავენ, მაგრამ ვერ ინელე-ბენ და დღესაც უკმაყოფილებას აცხადებენ, როცა უსიამოენება ფულზე მიიღოა. ამ უკანასკნელ დღეებ-ში ამერიკის კანონმდებლობამ და მთავრობამ გა-ტარა კანონი, რომლის ძალით აკრძალულია კრედი-ტი მიეცეს იმ ქვეყნებს, ვინც ამერიკას უმტკუნა და ვალის გადახდაზე უარი სთქვა: ამ კანონის მიღების შემდეგ კითხვა იყო—ვინ იქნებოდა ამ ვალდებულე-ბათ გამტესელთა სიაში, რადგან ცხადია აუარებელ ერს მართებს ამერიკის ფული და ბევრი მათგინა არ იხტიოს. ეს კითხვა იუსტიციის სახისისტროს გადაე-ცა გადასაწყვეტად. და აქ, საბჭოების სამწუხაროდ, გამორჩევა, რომ უპირველესად ერთი მთავრობა გა-მოდგა მთელ დედამიწის ზურგზე, ვინც თავის ვალზე უარის მთქმელი იყო და ეს განლდათ საბჭოების მთავრობა. ამის შედეგები, მოგეხსენებათ, უსიამოვ-

წევაზე მეტია, რადგან რათ უნდათ მდიდრის მეგობრობა თუ კაპეიკის არ გააღდებინებენ ხელიდან. კრემლის მართველებს მოთმინება ეკარებათ და უკვე უკმაყოფილებას აცხადებენ. აქაურ «პოლპრედ» კი ჯერ არ დაკარგვია ილუზიები და ამერიკის ბაირალს ეალერსება და მისი სიახლოებით ტკბება. «ნიუორეკის ტაიმსის» გადმოცემით ერთ კომერციულ საზოგადოების კრებაზე, სადაც ელჩი ტრიოიანოვსკი მოწვეული იყო, საბჭოების ბაირალი არ ქონიათ. დაგვიანებით ერთ სასტუმროდან ნათხვარი წითელი ბაირალი შემოუტანიათ და ამერიკის ბაირალის გვერდში დაუსვამთ, რამაც, ამ დროს მოლაპარაკე «პოლპრედი» იმდენად აალელვა თურმე, რომ სთქვა: ეს სწორედ დიდება, რომ ჩემი ქვეყნის ბაირალი ასე ახლო არის ამერიკის ბაირალთან».

რასაკვირველია, ასე თავს არ იმცირებენ ამერიკის წარმომადგენლები საბჭოების ქვეყანაში. «ნიუორეკის ტაიმს», ამ დემოკრატების ოფიციონზე მოსკვიდან ატყობინებენ განსაკუთრებულ დეპუტით, როგორ დაბინავდენ იქ ამერიკის საელჩოს ორმოცამდე წევრები.

ეს ცნობა ჩვენთვის ამდენი საყურადღებო არ იქნებოდა, რომ ამერიკის ელჩი პატარა ძალი არ ჩაეყვანა და კორესპონდენტს ამ ძალის მდგომარეობით თვით მოსკოვის მდგომარეობა გაკვრით არ გაეშუქებია. ცნობა იწყება უბრალო აღწერით, რომ ჯერჯერობით მსახური ცხოვრობენ «სავოი» სასტუმროში; რომ განკარგულება არის საბჭოების მთავრობისგან აჯახობის ჩამოყვანა მოსკოვში ბინის სივიწროების გამო ჯერჯერობით არ შეიძლება; რომ ელჩ ბულლიტტიმაც გასცა განკარგულება ამერიკიდან ჩამოტანილი ყავა, თუთუნი და სხვა — შეიძლება მიეყიდოს მხოლოდ საელჩოს წევრებს და არა ამერიკელების მოსკოვში მყოფ კოლონიას, ვინც დიდ იმედებს ამყარებდა ამაზეო. ცნობა განაგრძნობს, რომ რუსები, მოყოლებული უმაღლესი წევრებიდან ფეხსაცმლების მწერნდელამდე, დიდი ყურადღებით ეპერობიან საელჩოს წევრებს, მხოლოდ ერთს ამოაცალეს ორმოცამდე დოლარი ჯიბიდან. საელჩოს ბინის შეკეთებაზე თავგამოდებით მუშაობენ, რომ რაც შეიძლება მალე გაათავონ. ამ სახლის ვეებერთელა დარბაზზებში კარგი რეზონანსი გაისმის ელჩის ძალის «პიპი»ს ყეფითაო. ეს ძალი დიდ ყურადღებას იქცევს აქ და ბატონობს, არამც თუ ამ სახლში, არამედ მთელ მოსკოვშიო, რადგან ზარშანდელი შიმშილობის დროს ძალები და კატები თითქმის ამოწყდენ სატარტო ქალაქშიო. დეპუტა არ ამბობს როგორ ამოწყდენ: შიმშილისგან დაიხრცნენ თუ დამშეულმა ხალხმა შეჭამა...

საერთოდ შთაბეჭდილება ასეთია, რომ უკვე გაიარა იმ ილუზიებმა, როცა შეერთებული შტატები სარგებლობას გამოელოდენ რუსეთთან დაახლოებისაგან. ახლა რუსეთი ხდება ისეთი არა სასიამოვნო სტუმარი, რომელიც მხოლოდ ხიფათში გამრევი იქნება. საბჭოების წარმომადგენლის დანიშნულება თითქოს მხოლოდ ისაა, რომ რამე ითხოვოს. მისი სიტყვების ლექსიკონი სავსეა ფრაზებით: «თქვენი

შემწეობით», «თქვენი დახმარებით», «თქვენი მეგობრობით», «თქვენი ძალით»... და სხვა.

რასაკვირველია, ასეთი კილო ამერიკის პრესაში იწვევს სიჩუმეს და ზიზღულს. თუ რამე ითქმება და იწერება, როცა საბჭოების ასენენდენ, — ან სარკაზმით, ან თუნჯობით, როგორც არა თანასწორ ერზე.

ვერ შეედრება, როცა ამერიკის პრესა ლაპარაკობს თუნდაც, მაგალითად, იაპონიაზე. მიუხედავად ამ ერის გაბეჭდული მოთხოვნილებებისა (მონროეს დოქტრინა აზიისთვის — ჩინეთზე ხელის ალება სხვა ერების მიერ; ფლოტის გათანასწორება), ამერიკის პრესა (როგორც იაპონიაში მყოფ კორესპონდენტების ისე აქაურის) მუდამ პატივცემით, რაინდულად და თავდაჭერილად ეპყრობა იაპონიას, როგორც თანასწორ ერს.

ნაური.

## სოხეთის დამოუკიდებლობის დღე

26 მაისს ვარიზის სომხებმა იდლესაწაულეს დამუჟიდებლობის დღე. ამ დღესაწაულზე მუდამ დიდმალი სომხობა იყრის თავს და წელს ეს დღესასწაული განსაკუთრებულად მრავალრიცხვანი იყო და პროგრამითაც ფრად შინაარსიანი. ქართველი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი თავის დღესასწაულიდან აქ იყო მოსული მეზობლებისათვის დღესასწაულის მისალოცავად. ქართველთა ასოციაციის სახელით მისალოცავი სიტყვით მიმართა სომხებს ბ. დათა ვაჩნაებმ, რასაც საზოგადოება ხანგრძლივი ოცაციებით შეხვდა. აქვე იყო ქართული ხორო, პ. მოსულიშვილის მეთაურობით. მან მეტად მწყობრად და მოხდენილად შეასრულა თავისი პროგრამა, რამაც მეტად მხურვალე მოწონება გამოიწვია. დასასრულ საზოგადოების თხოვნით ხორომ შეასრულა ქართული პიმინ.

ქართველთა მილოცვაზე საპასუხო მხურვალე მადლობის სიტყვა წარმოსთქვა ცნობილმა სომხის მოღვაწე ბ. ჯამალიანმა.

აქვე ვგეჭდავთ ამ უკანასკნელის სიტყვას:

ძვირფასნო თანამემამულებო,

ნება მიბოძეთ, ქართველთა ასოციაციის წარმომადგენლის და ქართულ ეროვნულ პოლიტიკის აზრის გამომატებელის თავად ვაჩნაის წარმოთქმულ სიტყვის შემდეგ, მოგასხენოთ ჩემი ორიოდე სიტყვაც, მით უფრო რომ ამის საჭიროებას დლიერად ვგრძნობ, რადგან სრულიად შემთხვევით მიზეზის გამო მე ვერ მოვახერხე მისი წარმოთქმა დღეს ქართულ ეროვნულ დღესასწაულზე, სადაც ჩენენ, სომხებს, ქართველები დაგვეხდენ განსაკუთრებულის თბალი გრძნობითა და ყურადღებით.

სრულიად ცხადად მიმართა, რომ დიდი საერთო ინტერესები აიძულებენ ყველა კავკასიელ ერებს აუცილებელ მჭიდრო ძმურ კავშირისათვის საერთო განთავისუფლების მიზნების მისაღწევად...

მაგრამ მათ შორის მე მინდა შევაჩერო თქვენი

ყურადღება საქართველო-სომხეთის ისტორიულ და-  
მოკიდებულებაზე და გაგასენოთ მათი მრავალ საუ-  
კუნოვან არსებულ კავშირის ამბავი.

ქართველ-სომხეთი ძმური დამოკიდებულების  
საძირკველი ჩაყრილია თავიდანვე ჩვენი ერების ხალ-  
ხურ ეპოში. ცნობილ ქართულ მატიანეში «ქართ-  
ლის ცხოვრებაში» სომხები და ქართველები ჩამო-  
მავალი ყოფილან საერთო წინაპრისა—თარგმონი-  
სა, ნოვე შვილი შვილი-შვილისა. თარგმონსს ბევრი  
ვაჟები ჰყავდა, უფროსი მათ შორის პაოსი იყო-სო-  
მხების წინაპარი. შეორე—ქართლოსი—ქართველები-  
სა. ამ გენეალოგიას სიტყვა სიტყვით ადასტურებს  
სომხის ისტორიკოსი მოსე ხორხელი. «ქართლის  
ცხოვრება» აგრეთვე გვარწმუნებს, რომ ნაბუქოდო-  
ნოსორამდე საქართველო-სომხეთში ლაპარაკონდენ  
ერთს საერთო ქანქედ—ეს ხალხური გამოიცემანი,  
უსათუოდ ამწმებენ მსოფლიო ისტორიაში არ გა-  
გონილ რაი ერის ძმურ ცხოვრებას. შედევები მი-  
სი მრავალფეროვანი იყო. ერთიანობა სარწმუნოე-  
ბის სფეროში (კერპ თავგანისცემლობა, ქრისტი-  
ანობა), საერთო ზნე-ჩვეულობა, ერთდაიგივეობა  
მრავალ ქართულ-სომხურ სახელებისა, სიტყვებისა;  
ქართულ-სომხურ არქიტექტურის განსაკუთრებე-  
ლი მიმგხასებანი და სხვა მრავალი. მაგრამ მი-  
ნდა ამ მხრივაც თქვენი ყურადღება მივაძყრო  
ერთ თვალსაჩინო პოლიტიკურ მოვლენას: არა-  
დროს გაძლიერება ერთი მხარისა ან და მისი  
ძალაუფლების გაგრცელება მეორეზე არ იწვევდა  
უკანასკნელში არც შურს და მით უფრო მტრობას.  
ასეთ მოვლენას ჩვენ ვერ შევგვდებით სხვა ორ ერთა  
ურთიერთობაში. მაგალითად არშაკიდების ხანაში,  
რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, საქართველო  
იმყოფებოდა სომხეთის პროტექტორატის ან ბატო-  
ნობის ქვეშ და ქართველები ამაში არაფერს ცუდს  
არ ხედავდენ. ხშირად თავის რომელიმე მეფის უკ-  
მაყოფილო ქართველი სთავაზობდენ თავის ტახტს  
სომხეთის მთავრებს. საშუალო საუკუნების მეო-  
რე ნახევარში კი ჩვენ მოწმენი ვხდებით პირიქითი  
ამბებისა.

სომხეთის ბაგრატიდების დასუსტებისა და და-  
ცემის შემდგომ და მონათესავე ქართველ ბაგრატი-  
ონების გაძლიერებისას სომხები ხელს უწყობებ ქარ-  
თველ მეფეებს მათი ძალაუფლების სომხების მიწე-  
ბზე გავრცელებისათვის და როდესაც თამარ მეფის  
ჯარები მის დროშას სივანის ტბის ნაპირებზე და  
ერთეულების სიმაგრეებზე აღმართავდნენ. სომხები არ  
ფიქრობდნენ რომ ემსახურებოდნენ უცხო დამპყრობ  
ერს... თამარ მეფე სომხეთში ისეთივე საყარელი  
და პატივსაცემი იყო როგორც მთელ საქართვე-  
ლოში.

სამწუხაოდ ეხლა ჩვენს ხელთ არ არის დრო,  
რომ დაწერილებით მოგითხოვთ ქართველ-სომხების  
ძმურ ურთიერთობის კიდევ ბევრი მაგალითები. მა-  
შინ მე გიამბობდით. თუ რამდენჯერ ქართველები  
და სომხები მხარდამხარ იბრძოდნენ რომალების,  
არაბების, სპარსელების, ბიზანტიელების, მონგო-  
ლების და სხვა მტერთა წინააღმდეგ, რომლებიც  
ჩვენი ქვეყნების დამონგებას კიდილობდენ; მე გიამ-

ბობდით ერთ ამაღელვებელ ძველ ჩვეულებაზე  
რომლის ძალით მეზობელი ქართველი და სომხის  
მთავარ თავადნი ერთმანეთს აბარებდნენ დროებით  
ძეგუმწმოვარ ვაერმშეილებს, რათა დედის რძეს ისინი  
ძმებად გაეხადა. მე გაგასსნებდით საერთო ქარ-  
თულ-სომხურ დიდ დღესასწაულებს უძველეს ეკლე-  
სიებისა (ცეხეთა, ექმიანინი), რომელზედაც მასიუ-  
რად ესწრებოდნენ ქართველ-სომხეთ მღლცველი.  
და მრავალ სხვა საერთო წმინდა სახსოვარს, საერ-  
თო ჭირის და ლხინის მოსაგონარს, მაგრამ ამ უამად  
ეს ვიკამროთ.

ასეთი იყო ორი მეზობელი ერის მრავალ საუკუ-  
ნოვანი წარსულის საერთო გზა, საერთო ბედი და  
საერთო ხეედრის შეგნება და მანედ აღმოცენებული  
ურთიერთისადმი ძმური და მეგობრული განწყობი-  
ლება.

მაგრამ ქართველ-სომხეთა მასლობელ დამკი-  
დებულების მთავარ ფაქტორებად ორი თვალსაჩინო  
გარემოება გვევლინება. სომხეთის გეოგრაფიული  
მდგომარეობა საქართველოს სამხრეთიდან ჭავარავ-  
და. იგი იყო მისი სამხრეთი ზღუდე, სამხრეთიდან  
მოწლოლი სამტრო ტალღებისაგან დამფარავი. სა-  
აქართველოკი ამცვე დროს იფარავდა სომხეთს ჩრდი-  
ლოეთიდან. საქართველო მრავალჯერ გადაარჩინა  
სომხეთი სკიოების, ხაზარების და სხვათა ჩრდილო  
ურთიერთისაგან!

გამარჯვებულ ძმტრის შემოსევების შემდგომ  
ქართველები და სომხები ბევრჯელ იფარავდენ თავს  
ერთი მეორესთან. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში სო-  
მხები აფარებდნენ თავს საქართველოს, რადგან სამ-  
ხრეთიდან შემოსევები უფრო ხშირი და სასტიკი  
იყო, ვიზრე ჩრდილოეთიდან.

ეს ცხადი გაკვეთილები ისტორიისა ქართველე-  
ბმა და სომხებმა ადავიწყეს ამიერ-კავკასიაში რუს-  
თის ბატონობის დროიდან. რუსეთის ძალაუფლებიშ  
და მისმა divide et impera-ს პოლიტიკამ დაახვრია  
ბუნებრივი ერთობა ქართველ-სომხებისა და ვერა-  
გულად დაუპირისისირა ერთმანეთს. ეს უძედურება  
რომ არ ყოფილიყო. რუსეთის რევოლუციია კავკა-  
სიაში სულ სხვანაირად დაბოლოვდებოდა. სომხე-  
ქართველთა შეერთებული ძალა, შეერთებული სი-  
ცოცხლეში და სიკერილში, გაიტანდა არა მარ-  
ტო მათ თავისუფლებას, არამედ მთელ კავკასიისა-  
საც.

· ძვირფასო თანამემამულენო, არც ეხლაა გვიან  
დაუბრუნდეთ ჩვენს ძველ ერთობის პოზიციებს. მე  
სავსებით ვიზიარებ თავად გაჩნაძის ახრებს და მის  
შეკითხვაზე—ნუ თუ დღესაც, როდესაც კავკასიის  
თავზე ქუჩდება შავი რტუბლები, ქართველები და  
სომხები განცალკევებული იქნებიან?—ჩვენ ერთად  
გუბასუხებთ: არა, ამიერიდან ამ განცალკევებას ად-  
გილი აღარ ექნება. და ჩვენი ერთობა დაუპირდაპირ-  
დება მხოლოდ კავკასიის დამპყრობელებს. ამ ერთ-  
ობას, ჩვენი ძველი მეზობლები ახერხებივანელები  
და მთიელი, რომლებსაც ჩვენთან ერთად ერთი მი-  
ზანი აქვთ, აღბათ დიდი თანაგრძნობით დახვდებიან.  
მათვის ხომ აშეარაა, რომ ქართველ-სომხეთა ერთ-  
მანეთისაგან დაშორება იყო ერთი მთავარი მიზეზ-



მარებას უწევენ კოლონიას. ამასთანვე კრება ავალებს გამგეობას მიიღოს ზომები მუდმივი ფონდის შექმნის, ძველ გამგეობის მიერ გაცემულ სესიის მოკრების, ბიბლიოთეკა სამკითხველოს გაძლიერების და სტუდენტთათვის სტიპენდიების გამონახვის-თვის.

ახალმა გამგეობამ 17 მაისის სხდომაზე შემდეგ ნიირათ გაანაწილა ფუნქციები: თავმჯდომარე კ. იმნაძე, თავმჯდომარის მოადგილე გ. ნაკაშიძე, წევრი ქ. ნი ლენქ კვიკიძისა, ხაზინადარი ტ. ბერიშვილი და მოიგანი ვ. ინჯია.

ახალი კომიტეტის შეუდგა კომიტეტის საქმეების ახალ სისტემაზე აგებას, მოახდინა საქმის წარმოების რეორგანიზაცია და შეიმუშავა მომავალი მუშაობის სათანადო გეგმა.

ესარგებლობთ ამ შემთხვევას, რომ ალვინუსხოთ ერთი სამაგალითო საქმე, რომელსაც შეუდგა მიმდინარე წლის იანვრიდან ძველ კომიტეტთან ერთად კომიტეტთან ასებებული ახალგაზრდათა კავშირი, სა- მამოს კურსების დაარსების შესახებთან ასეთი გამდეგება შე- დევნის სამი პირისაგან: თავმჯდომარე სტუდენტი გიორგი ზაქარიაძე, ხაზინადარი მარიამ ცოტაძის ასული, მითიგონ ქეთო ალშიბაის ასული.

კომიტეტმა აღნიშნულ კავშირთან ერთად სამო- ქმედო მინთა დაისახა შემდეგი:

1. სამშობლო ერის შესწავლა (კურსები ბავშვთა- თვის და უფროსთათვის, ვინც ქართული არ იცის).

2. სამშობლოს ყოველმხრივი შესწავლა.

3. ფინიკური და მორალური აღწევა.

4. ახალგაზრდათა და საზოგადოთ ქართველთა შო- რის მეგობრული ურთიერთობის და დისციპლინის დამყარება.

5. კავშირი პოლონეთის ახალგვაზრდობასთან და სხვა.

თაარსებულ იქნა სამოს კურსები, სადაც მე- ცადინეობა სწარმოებს სისტემატიურათ ყოველ სამ- შაბათობით და მოწყობილ იქნა მთელი რიგი მოხსე- ნებათა.

1. ქართული ლიტერატურის ლექტორობას ეწე- ვა გ. ნაკაშიძე.

2. ისტორიისთვის—მოწვეულ იქნა ა. ყიფიანი.

3. საქართველოს პოლიტიკური გეოგრაფია დაე- ვალა გ. თევზაძეს.

4. საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფია—ტ. ბერიშვილის.

5. ქართული ენის მასწავლებლებათ მოწვეული არიან ტ. ბერიშვილი და ბ. თვარელიძე.

6. საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების უკა- ნასწერელი ხანის მიმოხილვა, დამოუკიდებელი საქა- რთველო და ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის—იკისრა ქ. იმნაძემ.

სეზონი დასრულდა მოხსენებით ვ. თევზაძის— «კავკასია» და ტ. შალიკაშვილის—«კავკასია დამო- უკიდებელი სახელმწიფო».

ახალ კომიტეტს განხილული აქვს ქართველ ქა- ლთა კავშირის დაარსება, რის სამვალებით შესაძ-

ლებელია მშიდრო კავშირის გაბმა პოლონეთის ქა- ლთა კავშირებთან.

ახალგაზრდათ კულტურულ სექციის ხელმძღვანე- ლობას ენერგიულად ეწევა ტ. ბერიშვილი. სპორტი- ულ სექციის ხელმძღვანელობა დაკისრებული აქვს ი. ერქომაიშვილი.

ახალგაზრდათ კომიტეტმა მოაწყო 26 მაისის დღესას- წაული, რომელსაც თითქმის მთელი ქართველობა დაესწრო. სადღესასწაულო კრება მოყლე სიტყვით გახსნა კომიტეტის თავმჯდომარებ ი. იმნაძემ. სიტ- ყვები წარმოსთხევს გ. ნაკაშიძემ და ტ. ბერიშვილმა. კომიტეტის მიერ ახლად დაარსებულმა მომლერალ- თა გუნდმა დ. ლალიძის ლოდგარმობით იმდერა ქარ- თული პიმინ და «ვატრანგ მეფე», რასაც დამსწრენი მხურვალე ტაშისცემით მიეგებენ. წარმოთქმული იქნა ამდენიმდე პატრიოტული ლექსპირი, რაც სა- ზოგადოებას დიდად მოეწონა. კარგი შთაბეჭდილე- ბა დასტოუნასწაულის ღოგვანიზაციულმა მჩა- რებ.

30 მაისს გაიმართა საერთო კავკასიური დღესას- წაული. რომლის პრეზიდიუმში შეთირდენ რასულ ზადე. მემედ გიორგი და კ. იმნაძე. თავმჯდომარებრდა რასულ ზადე. რომელმაც სადღესასწაულო კრებას მიმართ სათანადო მოყლე სიტყვით. საერთო კავკა- სიის სახელთ შესამჩნევი სიტყვა წარმოსთხევა გ. ნა- კაშიძემ. რამდენიმე მისასამლებელ სიტყვების შემ- დეგ კრება ერთხმად ტაშისცემით მიიღო წინადა- დება თავმჯდომარის. გაეგვანილს მისასამლებელი დეპეშა კავკასიის დამოუკიდებლობის უხუცეს მე- ბრძოლს და ხელმძღვანელს საქართველოს მთავრო- ბის თავმჯდომარეს ნოე კორდანიას.

## თურქეთის ცაოშალება

თურქეთის მთავრობამ დამატებითი თანხა მოს- თხოვა საერო კორებას (პარლამენტს) სამხედრო საჭი- როებისათვის. ამ ფულით გაძლიერებული იქნება შეიარაღება და გაყვანილ სტრატეგიული მიზნე- ლობის გზები; სხვათა შორის გაყვანილი იქნება რკი- ნის გზა სივასიდან ერთხუმადევ. კავკასიის საზღ- რებისკენ.

— თურქეთი ფიქრობს თავისი რკინის გზები სი- ვასით შეუერთოს ირაყის რკინის გზების. ეს იქნება უახლოებელი გზა დასავლეთდან აღმასავლეთის- კენ (ირაყი, სპარსეთი და ინდოეთი).

— ძალაში შევიდა და დაიწყო მოქმედება მაისის 21 დან ახალმა კანონმა, რომლის ძალით უცხოეთის ქვეშევრდომებს არ შეუძლიათ ხელოსნობა და სხვა და სხვა თანამდებობის ასრულება: მთფერობა, მე- ქულეობა, მექედებობა, მექრაცობა, მუსკანტობა, აგენტობა, მექარეობა, დარაჯობა, კაფე-რესტორ- ანებში სამსახური, მესტამბეობა და ფარმაცია რაფონი, სახელმწიფო მონაცემის საგნების გაფრთხობა, არ- ტისტობა ბარებში, ბეითლობა, კომისიონერობა და სხ. ეს ახალი კანონი საგნებით განხორციელებული იქნება მომავალი წლის 21 მაისმდე.

— როცა დეპუტატი ხალილ ბერ შეეკითხა სახელმწიფო ეკონომის მინისტრს ჯელალბეის რუსეთის დამიღებულ სესხის შესახებ, მინისტრმა განაცხადა: დადებულ ხელშეკრულების ძალით საბჭოგბმა ჭავეთის რვა მილიონ დოლარის კრედიტი საქონლით. უპირველესად საბჭოგბმა უნდა მოგვცენ მანქანები იმ საქსოვ ფაზიკებისთვის, რომელთაც ჩვენ ვაჟოთებთ. დანარჩენ საქონელს ჩვენ ავიობთ ისეთს, რომელიც შეეფერება ჩვენს ინტერესს და საჭიროებას. ჩვენი და რუსეთის ხელშეკრულობა ჩვენს უორის არსებული მევობრობის ნიადაგზეა აღმოცენებული და არ ვარებომთ, რომ საბჭოგბმა მოვაწოდონ საეჭვო თვისების და ჩვენთვის გამოუსადეგარი საქონელი. მაგრამ ხომ გახსოვთ თურქული ანდახა: მევობრობა სასწორით განიზომება და საქმეს მისლობით აწონიან.

— საბჭოგბმა საგანგებო კრებული გამოსცეს თურქეთის ცხოვრების სხვადასხვა დარგის შესახებ. კრებული დასურათებულია და შეიცავს აგრეთვე თურქეთის და რუსეთის პოლიტიკურ მოღაწეების განცხადებს ამ ორ სახელმწიფოს შორის არსებულ მევობრობაზე.

— საბერძნეთის პარლამენტის დეპუტატებს უფლება მიეცა უფასოთ იმოგზაურონ თურქეთის რკინის გზებზე.

— ბულგარეთში ახალი, დიქტატორული რეკიმის დამყარებამ ერთგვარი მღელგარება გამოიწვია თურქულ გაზებული: ეშინია, ამას არ მოყვეს ბულგარეთის საგარეო პოლიტიკის შეცვლა და იგი აგრესიულობის გზას არ დადგეს.

— ლოზანის ხელშეკრულობამ დარღანელის დემილტარიზაცია დასწორინა და თურქეთს არ შეუძლია მის ნაპირებზე სიმაგრეები ააგოს. ზარშან თურქეთმა ითხოვა ნებართვა დარღანელის გამაგრების. მაშინ ნებართვა ვერ მიიღო. მაგრამ ახლა კვლავ ცოდილობს მის შილების. ხოლო ინგლისურ გაზეთების სიტყვით ამის წინამდებრი არიან კველა სახელმწიფოები გარდა რუსეთისა და ბალკანეთის ზოგი სახელმწიფოსა.

### შ კ რ ა ი ნ ე ლ თ ა ზ ო რ ი ს

მოსკოვიდან მიღებულ ბრძანების თანახმად უკრაინაში დასწეს 36 ვაკონი უკრაინული წიგნი, სკრიპნიკის დროს გამოცემული, რომელიც ბოლშევიკებმა მავრებლად მიიჩნიეს როგორც ნაციონალისტური და უკრაინოფილური გამოცემანი.

— უკრაინის სხვა და სხვა ადგილებში ბოლო დროს მანიქესტაციები გაიმართა ბოლშევიკების წინამდებარები.

— კიევის უდევლეს წმ. სოფიოს ეკლესიაში აკრძალეს მღვდელმსახურება. ამიერიდან იქ მოწყობა სამეურნეო დაწესებულება.

— სამი უკრაინელი, რომელთაც ნაციონალისტურ პროგანდას აბრალებდნ, დაკითხვის დროს საშინალ აწამეს, რის შემდეგ სამივენი გარდაიცვალება.

### მ ი თ ა ლ ი გ ი ს დ ა მ ს მ ა რ ი ს ს ა ზ ღ ა ბ ა დ ღ მ ხ მ ა

9 ივნისს შესდგა ქართველ საზოგადოების საერთო კრება, რომელზედაც ბ.ბ. ე. გეგეჭკორმა და გ. გვაზავამ გაკაეთეს მოსხენება ნაციათა ლიგის დამხმარე საზოგადოებათა საერთა მორისონ კონგრესის შესახებ, რომელიც შესდგა ფოლკესტონში 19·24 მაისს.

საზოგადო კრებამ მაღლობა გამოუცხადა დელეგაციას და გამგეობრას იმ შეზაობისათვის, რომელიც გასწიეს მათ ამ კონგრესისათვის სერიოზულ შესამზადებელ მუშაობის გაწევისათვის და შემდეგ კონგრესზე ლირსეულად და ნერგიულად დაცივისათვის ასოციაციის შეკრებისათვის და კომიტეტის მუშაობისათვის შესახებ. კრებაზე გაიმართა მსჯელობა ახალ მუშაობისა და ახალ ამოცანების შესახებ რუსეთის განზრახვებთან დაკავშირებით, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს — ბ.ბ. ე. გეგეჭკორმა, გ. გვაზავამ, გ. უშრულმა, რ. არსენიძემ, დ. ვაჩინაძემ, ი. კემულარიამ, ალ. ასათოანამა, გ. ჯაყელა და სხ.

### ვ ა ს ი კ რ ი კ ა კ ა ბ ა ბ ა

აპალ კიდევ ერთი ქართველის საფლავი გათხრილი უცხოეთში; კიდევ ერთი უდანაშაულო მსხვერპლი ჩვენი უბედობისა. ყველასათვის საყვარელი, ყველა სათვის ძეირფასი, ყველას პატივისმცემელი ვასიკო კაკაბაძე გარდაიცვლა ზაბათს 16 ივნისს სალამოს ცხრა სათხე. თავზარდამცემი ჩხა მისი სიკედილისა, სწრაფად მოედო სოშობში მყოლ ქართველობას. საფრანგეთის მიყრუებული პროგრამის სჩემებს მხოლოდ ქართველთ კვეთა—შესახებ არ ლევედა.

მთელი კვირის განმავლობაში ფინიკური შორმით დალლილი, ზაბათს დასასვენებლად ემზადებოდა. სალამოს რეკა საათზე გულის ტკივილი იგრძნო. მისი მევობარები, მეტად დარწმუნებულნი მის ჯანმრთელობაში, ადგილად შესვდენ მის ავადმყოფობას და ის მოჩენებითად ჩათვალეს. მაგრამ სამწუხაროდ მათი მოლოდინი არ გამართლდა და საბრალომ ერთ საათში განუტევა უდანაშაულო სული. ძნელია იჯერებდენ მისი ამხანგები მის გარდაცვალების ამბავს.

მეტად ჩუმი, წყნარი და ხაორიანი, ის ვერასოდეს ურიგდებოდა სუსტის დაჩვენებულა და კიდევ ნორჩხა ახალგაზრდამ დასტოვა ჯერ უმოლოესი სასწავლებელი და შემდეგ საყვარელი სამშობლოც, წარმავალი ბორტტების წინამდებარებულობის სურვილით, ემიგრაციაში ხშირად იჩაგრებოდა მისი ამაყი სული, მაგრამ ის არასოდეს შეგრძნობა და იმედი არ დაუკარგავს ტანჯული სამშობლოს აღდგენის.

ორშაბათს 18 ივნისს ის მიაბარეს მონბელიარის სასაღლოს, ხუს სხვა ქართველთა გეერდით. გასვენებას, ქართველების გარდა, მრავალი უცხოელები დაწმუნება—განსაკუთრებით უკრაინელები. პროცესის წინ მიუძღვიდა სოშობს პასტორი ბ.ნი Doy.

ეს უბედურება ადრე თუ ვეიან მისწედება მის საბრალო დედას. უბედურნი ვართ, რომ ჩვენი თანაგრძნობით ვერ ვანუგებდთ საბრალო მშობელს.

კრიკოლაშვილი.